


თუმცა პირდაპირ არ გვინახებოდა „საქართველო“ არ დაგვივხვიათ, მაგრამ თქვენი აღწერები გვიყვარებდა და გვინახავით.

# საქართველო



პირველი სოციალისტ-შოღავალიზმითა საზოგადოებრივი პარტიის ორგანიზაცია

წლიური ფასი : 5 მან. თითო ნომერი : 25 ცენტი

№ 2 (14)

წელიწადი მეორე

1 ივნისი 1904 წ.

№ 2 (14)

რედაქციისა და ადმინისტრაციის ადრესი :  
51, rue Saint-Sauveur, PARIS.

ცალკე ნომრები იხილება :  
**SOCIÉTÉ NOUVELLE de LIBRAIRIE & d'ÉDITION.**  
17, rue Cujas. PARIS (V<sup>e</sup>).

## ზ ი ნ ა ა რ ს ი

აგრარული კითხვა (მანაველისა). — წერილი ფდთიდან (ზ.-სა). — საზღვარ-გარეთის პრესა დამის შესახებ. — „ერის გამომდვილება (მკითხველისა). — რეგულ დიაპირულ რუსეთში ფინლანდია. — პოლონეთი. — „წითელ ჯვრის“ გაგარევა. — რუსეთის ქრისტიანთა. — სოციალისტების აზრი დამის შესახებ. წერილი ტვილისიდან.

## ა ზ კ ა რ უ ლ ი კ ი თ ხ ვ ა

(წაკითხულ იყვ ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციასზე).

ევროპის სახელმწიფოთა სფ. პარტიების პრეგრამებს რომ ვკითხულობთ, ვხედავთ, რომ ეს პრეგრამები შემდეგ ნაირადაა დაყოფილი : 1) მუშათა კითხვა ; 2) კითხვა შრომის შესახებ კანონ-მდებლ-ებისა ; 3) აგრარული კითხვა. ამასთან, მუშათა კითხვა ესმისთ, როგორც კითხვა, რომელიც ეხება სამუშაო დღის შემოკლებას და ხელფასის მომატებას, სადგომ-თა გაუმჯობესებას (workmen's dwellings), კანონ-მდებლდება შრომის შესახებ — როგორც გაუმჯობესება ჰიგიენურ პირობათა, დასახიჩრებულ მუშათა დაჯილდოვება და შრომის დახდევვა ; აგრარული კითხვა კი იხე ესმისთ, როგორც გადიდება და გაუმჯობესება გლეხთა კერძო საკუთრებისა. აი ამათ უწოდებენ სოციალისტურ მოთხოვნილებებს. ნამდვი-ლად კი ყველა ამათ არავითარი დამოკიდებულება აქვსთ სოციალიზმთან.

მე-XIX საუკუნის პირველ ნახევრის სოციალისტურ სკოლებს : სენ-სიმონისმს, ჭურციერისმს და ოუენისმს, არახდებს გაუყვიათ კითხვა ხალხის სრულ სოციალურ ემანსიპაციისა არც მუშათა კითხვად, არც აგრარულ კითხვად და ადარც შრომის კანონ-მდებლ-

ბად. მათის წარმოდგენით, სოციალიზმი ჰნიშნავდა კაცობრიობის ყოველმხრივ განთავისუფლებას, ქარ-სანახა, სახელოვნობა, ქალაქა თუ სოფელში ; სო-ციალიზმის საფუძვლად ითვლებოდა საერთო ეკონომიური თანასწორობა, პიროვნების განთავისუფლება ექსპლუატაციისაგან, უფლება თავისუფალ და ეკონომიურად თანასწორ პიროვნებათათვის თავისუფალ ასოციაციებად შეკავშირებისა და ამ უკანასკნელთა შეერთება თავისუფალ ფედერაციულ კავშირით : « დედა-მიწა, დამუშავებული თავისუფალ ასოციაციათა მიერ » — სიტყვა სენ-სიმონმა.

თანამედროვე დაყოფა პრეგრამისა მუშათა და აგრარულ კითხვად სოციალიზმისაგან კი არ გამომდინარეობს, არამედ ნაანდერძებია იმ პოლიტიკურ რადიკალურ რეფორმატორთა მიერ, რომელნიც ოცდაათიან და ორმეციან წლებში სოციალისტთა აგიტაციის გავლენით გამოვიდნენ ინგლისისა და საფრანკეთის პარლამენტებში პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნილებითურთ ხალხისათვის. მათზე დიდი გავლენა იქონია მუშათა კლასების სამხედლის სიდატაკის და ზნეობრივ დაგვიძის სურათმა, რომელიც დახატულ იყო ცალკე მკვლევართა და პარლამენტის კომისიათა მიერ. ინგლისში ხადლერმა, კონგ-სლეიმ და ლორდ ამლეიმ, საფრანკეთში ლედროუროლენმა, ა. ბლანკიმ (ეკონომისტი), ლუი ბლანმა და მათმა მეგობრებმა მდინდომეს შეეტანათ მთელი წყება იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ რეფორმათა, რომელთა მეოხებითაგ, ლედროუროლენის სიტყვით, რადიკალურ რეფორმატორთ იმედი ჰქონდათ მიეღწიათ სოციალურ განახლებამდის. რადგანაც ამ მიზნის მიღწევა განიზრახეს, რასაკვირველია ეს რეფორმატორები იძულებულ იყვნენ გაეყვით სოციალური კითხვა სხვადა-სხვა კატეგორიებად, რომ თითოეულ მათგანისთვის შეემუშავებინათ შესაძლებელი რეფორმები თანავედროვე სახელმწიფო და საზოგადო წყობილების ფარგალში, კერძო საკუთრებისა და კაპიტალისტურ წარმომების წესით. ეს ხალხი პოლიტიკურად უპატიობნენსი პირნი იყვნენ, და დიდი ძალ-ღონე შეალიეს ამ რეფორმათა განხორციელების საქმეს. — სიდეურისა და ლორდ ამლეის ინიციატივით, რომელთაც

მხარს უჭერდნენ კონგლესი და შემდეგ კლადსტონი, ჯონ-სტუარტ მილი და მე-60 წლების რადიკალურ რეფორმატორთა მთელი თაობა, მე-32 წლიდან მოცილებული სამუშაო დღე მამა-კაცთა, დედა-კაცთა და ბავშვთათვის შემოკლდა, შემოდებულ იქმნა ინსპექცია შრომისა, ორჯერ მეტად გაფართოვდნენ მუშა ხალხის საარჩევნო უფლებანი, შექმნილ იქმნა კანონები ტრედ-უნიონებისა, კოლმერაციათა და შრომის დაზღვევის შესახებ. საფრანგეთში კი ლეადრიურდღლენმა და მისმა მკვებრებმა გაიყვანეს საყოველთაო საარჩევნო უფლება (suffrage universel), რისთვისაც პარიზის დემოკრატიამ მადლობის ნიშნად მას ძველი ადუშართა. ამ მოღვაწეებმა, განსაკუთრებით საფრანგეთში, დაიწყეს ის სარეფორმო მოძრაობა, რომელიც გრძელდება მესამე რესპუბლიკის დროს, ესლა — კლემანსობა, გობლესა, კამილ პელტანისა, ანრი მარესა, რანკისა და სხვათა მიერ, და თან-და-თან ვრცელდება. შემოხსენებულ კითხვათა შორის არის აგრარული ანუ სამიწადმოქმედ რეფორმის კითხვა, რომელსაც სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა ქვეყნებში სხვა-და-სხვა ფორმები აქვს.

მაგრამ ყველა შემოხსენებულნი კეთილმოზობილი პოლიტიკურნი მოღვაწენი, ვულწრფელნი მეგობარნი პრეზერვისა და კაცობრიობისა თავის დღეში სოციალისტებად არ გამოხულან და არცა ჰქონიათ ამისი პრეტენზია, და მათ მიერ განხორციელებული რეფორმები, მიუხედავად ამ უკანასკნელთა მნიშვნელობისა ხალხის ბედის ცლად მაინც შემსუბუქების საქმეში, თავისდღეში არავის ჩათვლია არა თუ სოციალურ რევილუციად, არამედ სოციალურ რეფორმადაც კი. ამიტომაც ჩვენთვის განსაგვიფრებელია, როდესაც ვხედავთ, რომ რუსის სოციალ-დემოკრატები და მათთან ჩვენი უვიცი ს.-დემოკრატებიც, რომელნიც ძლიერ სუსტად ჰბამავენ შემოხსენებულ პოლიტიკურ მოღვაწეთ, მოწადინებულნი არიან, რომ ეს წვრილმანი გაუმჯობესებანი და პალლიატივები სოციალისმად გაასაღონ.

რადგანაც ჩვენა ვსთქვით, რომ სოციალისმი არა ჰყვდეს სოციალურ კითხვას მუშათა და აგრარულ კითხვებად, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ეს უკანასკნელი განვიხილოთ აქ მხოლოდ როგორც კითხვა, რომელიც წამოყენებულ იყო პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ ინგლისსა და საფრანგეთში და რომელიც უმეგრების გამო გადატანილ იქმნა რუსეთში რ. ს.-დ. პ. მიერ, როგორც ნაწილი სოციალისმისა.

ახალ ისტორიაში პირველი აგრარული რეფორმანამდვილად განხორციელებულ იქმნა საფრანგეთის აზვირთებულ ხალხის მიერ დიდ რევილუციის დროს. როდესაც თვით-მპყრობელი ხალხი, რომელმაც დაამსხვრია ბატონ-ყმობის ჯაჭვები, სწავდა მებატონეთა და სამღვდელთა სასახლეებს და ერის სახელით ხელში იგდებდა საბატონო და საეკლესიო მიწებს,

მან ეგონა, რომ მიწა გადაეცემოდა სახოფლო თემებს (კომუნებს) და გაყოფილ აქმნებოდა მათ წევრთა შორის. მაგრამ მონარხიულ ევროპისა და რესპუბლიკის ომთა გავლენის გამო მიწა ხელში ვერ ჩაიგდო მთელმა გლეხობამ, თუმცა საფრანგეთის ხალხის დიდმა ნაწილმა კი მიიღო ეს მიწა, რის წყალობითაც მთელის მე-XIX საუკუნის უანშავლობაში, აგრეთვე ესლაც საფრანგეთი, რომელიც დამყარებულია მიწის მებატონე გლეხებზე, უუმიდოდესი მხარეთაგანია მთელს ევროპაში. ცნობილია, რომ დიდ რევილუციის გავლენით წარსულ საუკუნეში ჯერ პრუსია შტეინის მინისტრობის დროს, მერე კი მთელი გერმანია თან და თან იძულებული იყო მოეხზა ბატონ-ყმობა; ეს განმათავისუფლებელი მოძრაობა შემდეგ გადავიდა რუსეთშიც. აქ გლეხთა განთავისუფლების დროს 1858 — 61 წ. მთელი მოწინავე ნაწილი რუსეთის დემოკრატიისა, ჩერნიშევსკისა და მისის მკვებრების გავლენით იმ აზრისა იყო, რომ გლეხთა განთავისუფლება მომხდარიყო მიწით, ამასთანავე თვით ვუიკროლიაში გლეხთა მიწათმფლობელობის ფორმად აღიარებულ იქმნა სათემო მიწისმფლობელობა. როგორც ყველასათვის ცნობილია, გლეხთა განთავისუფლების შემდეგ ხალხის მწარმოებელი ძალები თან და თან სუსტდებოდნენ, სიღატაკე სამინგლის სისწრაფით იზრდებოდა, შიმშილი მთელ პრევიციებში, შემდეგ კი ერთად ყველა პრევიციებში რუსეთის საზღვარად მოვფონად გადაიქცა. ძველმა მებატონეებმა და ყველა ხალხის მტრებმა მდრთეს ყვირილი, რომ ამისი მიწენი მიწის სათემო მფლობელობაა, მაშინ როდესაც ნამდვილად ამისი მიწენი სახელმწიფოს მიერ ხალხის ყვლევის თან და თანი ზრდა იყო და არის. მართლაც განთავისუფლების დროს სახელმწიფო ბუჯკტი იყო მხოლოდ 300.000.000 მ. წელიწადში, ესლა კი, როდესაც საყოველთაო სიღატაკე და შიმშილი მეფობს, მთავრობა ჰკრებს ორ მილიარდსა და 400.000.000 მანეთს. ამგვარად, გლეხთა განთავისუფლების დროს თითოეული რუსი იხდიდა სახელმწიფოს სახარგებლოდ 5 მანეთსე ნაკლებს წელიწადში, ესლა კი იგივე გლეხი იძულებულია იხადოს წელიწადში 17 მანეთსე მეტი. თუ ამას დავუმატებთ საერთო და საზღვარად გახავალს, მაშინ ხალხის ხარჯი გამოიხატება 20 მანეთით კაცის სულზე, მაშინ როდესაც ხალხის მწარმოებელი ძალა, იმის მიწენით, რომ ხალხი უმეგრებში ჰყავთ, იგივე დარჩა, როგორც იყო ბატონ-ყმობის დროს. მოთხოვნილებებს კი, რომელნიც განხარდნენ, ხალხი თავისი შრომით კი არ აკმაყოფილებდა. არამედ პირდაპირ თავის ქონებით: მას უწერდნენ მუშა-საქონელს, სამუშაო იარაღებს და საგარეო ტანისამოსს, თუ კი მოეპოვებოდა. ამგვარად სახელმწიფომ ხალხი გააღატაკა და « თემი » აქ არაფერ მუშაში ყოფილა.

ყველა ეს ვარგად იცის ყოველმა წერა-კითხვის

მდღენუმ რუსეთში, და თუ ბატონ-ყმობის მღმნრეთა ყვირილი თემთა წინააღმდეგ ადვილი გახაგებია, ეს სრულიად აუტანელი და ამაღელვებელია რ. ს.-დ. პ. მხრივ, რომელნიც ენგელსის მოწაფენი ბრძანდებიან. ეს ვაჟბატონები, თავიანთის სამინელ უმეცრების გამო, გვარწმუნებენ, ვითომც არის რაღაცა სოციალური კანონი, ენგელსის მიერ აღმოჩენილი, რომლის ძალითაც გლეხმა თავისი მიწა უნდა დაჰკარგოდ. პლენანდვი თავის ბრძოლაში (O задачахъ социалистовъ და სხ. ვენევა, 1892, გვ. 77 და 87) პირდაპირ ამბობს, რომ ენგელსმა იწინასწარმეტყველა გლეხთა ექსპროპრიაცია და ენგელსი მართალია. ოდესღაც ყოფილმა მარქსისტმა სტრუვემ თავის « კრიტიკულ შენიშვნებში » 1894, გვ. 275. იმავე ენგელსის აღმოჩენათა ძალით სთქვა: ფაქტიურად გამოგანოვება გლეხთა ნაწილისა სრულიად თავიდან აუცილებელია... მე-276 გვერდზედ ის უმატებს: სახელმწიფოს ამ პრინციპში შეუძლია ითამაშოს მხოლოდ ერთი რელი: ხელი შეუწყოს ამ გამოგანოვებას და უმიწაწყლდდ და რჩენას, თუმცა მას შეუძლია შეამსუბუქოს უკიდურესობანი. რადგანაც ეს ხალხი დარწმუნებულია, რომ გლეხთა გადატაცება ძლიერი ფაქტორია სოციალიზმის განვითარებისა, ცხადია, რომ ისინი ყოველს დონისძიებას ზმარობდნენ, რომ სათემოდ მიწისმფლობელდმა დარღვეულიყდ და გლეხებს რაც შეიძლება ძალე დაჰკარგოდათ მიწა. აი რა არის მისი მიზეზი, რომ სრულიად რ. ს.-დ. პ. ამ თავისს პრინციპში პირდაპირ ითხოვა მოხბობა « კანონთა, რომელნიც გლეხს ხელს უშლიან თავისი მიწა თავისუფლად მოხმარდს », ეს კი ნიშნავს სათემოდ მიწათმფლობელობის მოხბობას; აგრეთვე მათ მღითხრვებს საურთიერთოდ თავდებობის მოხბობა; რუსის თვით-მპყრობელმა იმპერატორმა, პლევკემ და ბატონ-ყმობის მღმნრებმა სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატებს განუხრდვილეს ეს წადილი, მოხბვს რა ეს საურთიერთოდ თავდებობა.

ამ ვაჟბატონებმა სრულიად არ იციან, თუ რა კელნდმიური და წნეობრივი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის თემს. რაც უნდ დატაკი იყოს ხალხი, რაც უნდ საცოდავი იყოს მისი კულტურული განვითარება, თემი მაინც ანიჭებს თითოეულ წევრს თანასწორ მდნაწილეობას მიწის ხარგებლობაში, და ამ თანასწორლობას თემის წევრთა შორის გადატაკებული, გაქელილი და უმეცარი რუსის გლეხი აღიარებს უკანონოდმდობილთათვისაც კი. სრულიად რ. ს.-დ. პ. მტერია თემისა, რასაკვირველია, არა ამ წნეობრივ თანასწორობის პრინციპის გამო, რომელიც გვრდობიაგ არ არსებობს! მამასადამე მათი საფუძველი მხოლოდ ენგელსის ავტორიტეტია. თანამედრველიტერატურულმა კრიტიკამ კი გვაჩვენა, რომ ენგელსს მთელ თავის სიცოცხლეში არავითარი გამოკვლევაანი შეუქმნია, რომ თავისი წიგნი: « ინგ-

ლისის მუშათა კლასის მდგომარეობა » მან გადააკეთა თავის დრდს შესანიშნავ ფრანგ მეცნიერის ბიურეს წიგნიდან, რომელსაც ეწოდება: De la misère des classes laborieuses en Angleterre et en France, Paris, 1840. და მისი და მარქსის შესანიშნავი « მანიფესტი კომუნისტურ პარტიისა », განსაკუთრებით თეორეტული ნაწილი, თითქმის სიტყვა-სიტყვით არის ამღწერილი ვიქტორ კონსიდერანის მანიფესტიდან, რომელსაც ეწოდება: Principes du Socialisme. Manifeste de la Démocratie au XIX siècle, Paris 1847. ეს ორი ფრანგის მეცნიერი კი, რომელთაგანაც მათ ყოველივე ამღწერეს, სულ სხვას ამბობდნენ მიწის შესახებ. ბიურე ამბობს: « მრდმის უუძლიერესი ხაწარმოვლ იარადი არის მიწა, და არ შეიძლება მისი ერთი ნაწილიც წაერთვას მას, ვისაც შეუძლია მისი დამუშავება პირდაპირ თავისის საკუთარის შრდმით (გვ. 468) (1).

ჩვენ აქ არ მღვიყვანთ ციტატებს სხვა-და-სხვა სოციალისტურ და პოლიტიკურ რეფორმატორთა. ყოველთვის, ყოველ ენაზედ, სოციალისტებს ესმდდათ აგრარული კითხვა მხოლოდ იმ აზრით, რომ მთელი მიწა უნდა გადავიდეს მის დამმუშავებელთა ხელში. რდდესაც დიდმა ინტერნაციონალმა 62 — 71 წლებში თავის კონგრესებზე დააყენა აგრარული კითხვა, მოხსენება, წარმოდგენილი ბელგიელ დოქტორ გუზარ დეპაბის მიერ ბრუსელის კონგრესზე 1868 წ., თხლდობდა, რომ მიწა და ყოველივე ბუნებრივი სიმდიდრე დაუყოვნებლივ გარდაქმნილ ყოფილიყდ კოლექტივურ საკუთრებად გლეხთა და მუშათა ახლგიაციებისა. გუზარ დეპაბი, დიდი მეგობარი ბრდდინისა, მღმნრე იყდ მის კოლექტივიზმისა, რომლითაც უნდა « გაითქვიფდს და გალხვებს პოლიტიკური სისტემა ანუ მთავრდობა კონდმიურ სისტემაში ». (L'idée générale de la Révolution, p. 196). მისი მოხსენება კოლექტივიზმზედ ინტერნაციონალურმა კონგრესმა მიიღდ სრულიად, და ამ დრდიდან მოკიდებული კოლექტივიზმი შეიქმნა საერთოდ დევიზად ინტერნაციონალურ მოძრაობისა. და თავის დღეში, არცერთ სოციალისტურ ფრაქციას, ს.-დემოკრატების გარდა, და მათ შორის სრულიად რ. ს.-დ. პ. პარტიისა, აგრარული კითხვა არ დაუსვამს, როგორც გლეხთათვის გადაცემა რაღაც « ჩამოჭრილთა და ჩამონაფლკოთა ».

ეს კიდევ არაფერი. რაიგა შეეხება აგრარულ კითხვის შეგნებას, ზემოხსენებული პოლიტიკური რეფორმატორები და მათნი მოწაფენი უფრდ წინ წავიდნენ სრულიად რ. ს.-დ. პ. შედ. ცნობილმა ამერიკელმა ჰენრი ჯდრჯმა თავის წაგნში: Progress and Poveries მიუთითა მიწის ნაციონალიზაციაზე, რ-

(1) La terre est le plus productif des instruments de travail; on ne doit pas en dérober une parcelle à ceux qui sont capables de l'utiliser directement par le travail (p. 468).



გორც სამუალებაზე თანამედროვე სიდატაკის თავიდან ახაცილებლად. ახლა ინგლისში არის მთელი ორგანიზაცია : « land nationalization league », რომელსაც თავში უდგია შესანიშნავი მეცნიერი ბუნების მეტყველი ალფრედ ვოლლეხი. ლანდნაციონალიზატორთა ახრით მიწა დღეს კი, და არა მხოლოდ სოციალურ რევოლუციის შემდეგ, კარდაქმნილ უნდა იყოს საზოგადო საკუთრებად და გადაცემულ იქმნას იგი ახსოვიაციებისა, კოლპერაციებისა და კერძო პირთათვის, რომელნიც მას დაიმუშავებენ თავიანთის შრომით.

აქ ჩვენ არ ვილაპარაკებთ აგრარულ კითხვის სხვადასხვა ფორმებზე, როგორც მაგალითად ირლანდიის მიწის სახელმწიფო გამოსყიდვაზე, რომელიც მარშან მიღებულ იქმნა ინგლისის პარლამენტში, სამიწადმტკმედდ კოლპერაციათა და ახოვიაციათა რიცხვის ზრდაზე, სინდიკატებზე და სხვაზე დანიასა, ბელგიასა, საფრანგეთსა და საზოგადოდ ევროპაში ; არ ვილაპარაკებთ აგრეთვე წვრილ მესაკუთრეთა რიცხვის ზრდაზე. ყოველივე ეს სრულიად უარყფეს ენგელსის მიერ ვითომ და აღმტყინილ კანონებს და უნებურად განმეორებულებს სრულიად რ. ს.-დ. მ. პ. მიერ...

ჩვენ არ ვილაპარაკებთ ყველა ამავეზე, და არც აგრარულ კითხვის შემოსხსენებულ ფორმებზე, რომელიც წამოყენებული იყო პოლიტიკურ რეფორმატორთა მიერ და მათი მიყფლით სრულიად რ. ს.-დ. მ. პ. მიერ, იმიტომ, რომ, განვიმეორებთ ვიდეკ, მიუხედავად იმ შემსუბუქებისა, რომელიც ამ რეფორმატორებმა მღუტანეს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას, — მათი რეფორმები სრულიადაც არ წარმადგენენ სოციალისმს, რომელიც შეიცავს სოციალურ კითხვის გადაწყვეტის მხოლოდ ორ ფორმულას : კოლექტივისმს ანუ კომუნისმს მიწისა და ყველა საწარმოვო სამუალებათა მფლობელობასა და სარგებლობაში.

და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა პარტიის სოციალისტები ახლდ მომავალში ეცდებიან ხელ-ახლა წამოაყენონ სოციალისტური წარმოდგენა აგრარულ კითხვისა მთელ მისის სიწმინდით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ს.-დემოკრატებიც, რომელნიც აბნეულ არიან ენგელსის მეცნიერების ცრუ პრეტენზიით, აგრეთვე დაუბუნდებიან წმინდა სოციალისმს, როგორც ესა ჰქმნა დიდებულმა მოხუცმა ალფრედ ვოლლერმა, რომლის მშვენიერის სიტყვებითაც ჩვენ დავამთავრებთ ჩვენს მოხსენებას :

« ჩემს სიყრმეში მე ვიყავი მოწაფე რბერტ ოვენისა და მისის მოძღვრებით აღტაცებული ; « და თუმცა შუა ხანში, როდესაც უმეტესად გამი-ტაცეს მეცნიერულმა შრომებმა, ჩემზე დიდი გავლენა იქონია ჰერბერტ სპენსერის ინდივიდუალიზტურმა მოძღვრებამ ; ესლა ისევ დაუბრუნ-

« დი ჩემს პირველ სიყვარულს, და გატაცებული « დამცველი ვარ კოლპერატულ რესპუბლიკისა, « რომელიც საუკეთესო საფუძველია კაცობრიობის « ბედნიერებისა, და რომელიც წარმოადგენს ერ-« თად ერთ სამუალებას, რომ კაცობრიობა განი-« კურნოს იმ სამინელ სნეულებათაგან, რომელთა « მიწეივ თანამედროვე კაპიტალისტური წყობი-« ლება არის ».

ამ სიტყვებით დიდმა ბრძენმა ხალაში უძღვნა ღონდონში მომხდარ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს 1896 წელს.

მანაველი.

წიკილი ფოთილან

(დიმიტრი ეპისკოპოსის (აბამიძის) გაიკვვრდბანი).

ნამუსგაყიდული დიმიტრი აბამიძე (გურია-სამეგ. ეპისკოპოსი) ერთგულად ასრულებს რუსის მთავრობის ბრძანებას : ემსახურებს ქართველთა გარუსების საქმეს. ამ აზრით, ფოთში მოვიდა თუ არა, გადააყენა მდივანი თავის კანცელარისა (ჩაჩანიძე) და ქართველთა სისხლის მსმელს ეპისკოპოსს არსენის მეუთავალა სოხუმში : „ კარგი რუსი “ გამდმოგზავნე მდივნად. არსენიმაც გაუგზავნა თავის მდივნის თანამეყე. ვინმე ავტონომივი ; კაცი უსწავლელი, უვიცი, მექრთამე და ყოვლის ბიწიერებით აღხავს, ერთის სიტყვით მხეცი ადამიანის ხასით მოვლინებული, გარნა მოძულე ქართველთა და ყოვლისავე ქართველისა. ჩვენში პოლიტიკანი რუსები ასეთებს ეძახიან „ კარგ რუსებს “. აბამიძემ, თითქმის დიხსეული ქართველი არსად ყოფილიყო, რა თქმა უნდა, აღტაცებით ჩააბარა ასეთს „ კარგ რუსს “ თავის ეპარქიის სამღვდელოების მედ-ობალი. ამიერიდან რუსულის უცოდინარს მღვდელს ან სხვა მოხოვნელს მდივანთან საქმე რომ ექმნეს, თარჯიმანი უნდა მოიყვანოს და იმის შემწეობით გააგებინოს თავისი თხოვნა. „ გეთილ მწყემსს “ აბამიძეს კი ამით თავი მოაქვს ! ფოთში მოხვლისთანავე აბამიძემ გამოიწერა ბათომიდან ბატონ პალმის გაწეით „ შავისღვის უწყებანი “ — ესეც მედრე ერთგულობის ნიშანი. სამღვდელოებას აღუკრძალა ქართულ ყურნალ-გაწეობისათვის ფულის გადადება. ნამსახურობის სიაში ეს სამსახურიც ჩაეწერება ! ამას წინად ერთმა ჯამუბობის და დაწინაურების მოტრფილად სოფლის მასწავლებელმა ვინმე იონა ხართანიამ „ შავისღვის უწყებაში “ სამეგრელოდან დაბეზღების წერილი გაგზავნა : „ მეგირდები მკკლმ-სიაში მიმყავდა, უნდა ელდენათ, რათა მღვკა მიწინიჭებოდა რუსის მხედრობას. მაგრამ კეთილმოწეხე მღვდეულმა თოლორაიამ ეკლესიის კარები გამომისხურა “. გაწეითი ეს ამბავი დაიბეჭდა თუ არა, მღვდელს თოლორაიას შემდეგის მინაარსის ტელეგრამა მოუვიდა დიმიტრი ეპისკოპოსისაგან : „ კეთილმოწეხობა ჩამოგართვი და სხვას გადავევიო “. თოლორაიამ თავი იმართლა. აბამიძემ იხმღ. თუმცა გარუსებულმა ქართველმა იცოდდა, რომ მოხუცებულმა თოლორაიამ რუსული არ იცოდა. მაგრამ ლაპარაკი მაინც რუსულად დაუწყო და მის თხოვნის შეუწყნარებლად დაითხოვა. ამ უსამართლობით აღელვებულმა საზოგადოებამ ითხოვა გამძეობათ საქმე. ეპისკოპოსმაც სხვა მღვდელს მისწერა, შეამოწმე მდ. თოლორაიას მიერ წარმოდებული საქმეები. რევიზია მდ. თოლორაიას სასარგებლოდ გათავდა. საზოგადოებამ ითხოვა, კეთილმოწეხეობა ისევ დაუბრუნდეს მდ. თოლორაიასად. ეპისკოპოსმა ამაზე პასუხად მოიწერა : „ ჩი-



კონს თოღორაიას საქციელი ! ვერ გამოვიყ, რად აღვლევებს  
საზოგადოებას ! მარტო ის გარემოება, რომ რუსული არ  
იგის. კპარა მიზეზად, რომ კეთილმღეობა ჩამოვართვა.  
ურჩევნა უდრტვირველად დაემტრნოილს ჩემს ბრძანება-  
სად ". ღირსეული პასუხი ღირსეულის მწყემსთმთავრისა !

ჴ.

**საზღვარ-გარეთის პრესა ომის შესახებ**

ჩვენში ომის შესახებ სიმართლეს, რასაკვირველია, ვერ  
გაიგებთ. სატასტრ ქალაქის გაზეთები ოფიციალურ სიგნით  
არაიან გაუფენთილინი. ყველას არწმუნებენ, განათლებული  
ევროპა ჩვენ თანაგვიგონებდნენ. ამიტომ მეტი არ იქმნება  
გავანდთ მკითხველებს საზღვარგარეთელების აზრი ომის  
შესახებ.

საფრანგეთი თითქმის ერთხმად გაიძახის, რუსეთთან  
კავშირმა არ უნდა გვაიძულებს ომში ჩავერიდთ და მხარი  
მივცვათ რუსებსად. ამ აზრს არამც თუ რადიკალური და  
სოციალისტური გაზეთები აღიარებენ, არამედ ნაციონალის-  
ტური და ზომიერ-რესპუბლიკალურიც. დერულუდი, ნაციონ-  
ალისტა მეთაური, ამბობს La Patrie-ში : „ მკვლევრად  
იმედი მაქვს, საფრანგეთი ძალათი არ იქმნება ჩათრეული  
ამ აზიურ ექსპედიციაში. რამეგლიაგ ავადმყოფობისა და  
მტრის ტყვიის წყალობით დიდძალ სალსს დავკარგავთ,  
სოფლ სარგებლობას კი ვერაფერს ვნახავთ ". Temps-ის  
შეხედვლობით, საფრანგეთმა განსაკუთრებული ნიჭრალი-  
ტეტი უნდა დაიგვას. სოციალისტურ Lanterne-ში კვითხუ-  
ლებთ : „ საფრანგეთს მშვიდობიანობა ჰსურს. შეუძლებე-  
ლია, რომ რუსეთთან კავშირმა, რომელსაც მშვიდობიან-  
ობის დაცვა ჰქონდა აზრად, გვაიძულებს მეგობრულ ინგლისს  
წავეჩხუბოდთ და, ჩვენის ინტერესების წინააღმდეგ, დავიგვათ  
რუსეთის ინტერესები მდრეულ აღმდსავლეთში. რუსის  
სალსს, რომელსაც ერთადერთი უფლება აქვს მინიჭებული  
— გაჩუმება, მდრჩილება და ფულის გაღება — შეუძლია წა-  
ვიდეს იქითკენ, საითკენაც მისინ უდრლსნი ჰგზავნიან. იგ  
მისი საქმეა. სოფლ საფრანგეთის რესპუბლიკის მქალა-  
ქეთ სხვა უფლებები აქვსთ, უწინარეს ყოვლისა უფლება მდ-  
სონდვინ პასუხი თავიანთ მინისტრებსად ". რადიკალური  
გაზ. Radical, უფრლ სასტიკად სჯის რუსეთს : „ რუსეთის  
გაუმძაღრბაა ყველაფერში დამნაშავე, მას მთელი აზიის  
ჩაყლაპვა ჰსურს. ევროპას დიდი გასამართლებელი საბუთი  
აქვს ვრიდდს ამ მათრახის სამეფოსად ". Gil Blas-ი, აბრა-  
ლებს რუსებს, იაბრნელებს ატყუებდნენ. კლემანსო, რა-  
დიკალთა ცნობილი მეთაური, l'Aurore-ში დახვისინს რუსე-  
თის სამსედროლ გამეგობას და ურჩევს, იმის მაგიერ რომ  
რუსეთის რეაქციონერ ბრესის სამუალებით-საფრანგეთის  
სამსედროლ და საზღვარ სამინისტრლებს ჰვიცხავდეთ, თქვენს  
საკუთარ საქმეებს მიჰხედეთ, თორემ იაბრნელები გვემე-  
ნენ. l'Européen-ი ასე სჯის : „ ამ 2 წლის წინად რომ მდ-  
მსდარიყო რუსეთ-იაბრნიის ომი, საფრანგეთი მდიერ აღვლ-  
დებოდა. ესლა კი დამშვიდებული იქმენს მდპირდაპირე  
ჯარების შეტაკების ამბავს, საფრანგეთი დარწმუნებულია,  
რომ არასგნით არ ჩაერევა ომში. საფრანგეთის მილიარდ-  
ებით ამმენეს მანჯურების გზა და მანჯურთაგ იმავე ფულით  
დაიბყრეს. ესეც კპარა. საფრანგეთის ჯარი და ფლოტი ფენს  
არსად გასდგავს ". სოციალისტ ყდრესის სიტყვამ სდმ დი-  
დი ხენსაცია მდანდინა, რადგან ყდრესმა მქალაქებრივი  
გამეგობა გამდინა და დაჰმდ ფრანგ-რუსების კავში-  
რი. რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას მისდევს და ასეთ სა-  
სეგმწიფდლთან დაკავშირება ძალიან სასიფათლად. ყდრესი  
მდწადინებულია პარლამენტში ადმრას ამის შესახებ კპაითი.  
რასაკვირველია, საფრანგეთში სხვა რამესაც ამბობენ. იმპე-

რიალისტური და რდიალისტური ბრესა ფენს ქვემ ეგება რე-  
სის მთავრდბას. პაგრამ არ უნდა დავივიწყლოთ, რომ ესლან-  
დელი „ ობოლინიონისტები " თუ თანაგვიგონებენ რუსეთის  
თვითმპყრობეგლობას, ეს მსოფლდ იმიტომ, რომ დამცი-  
ნდრ და ჩირქი მდსგზონ „ სალანანა მარინას " (ასე ემა-  
სიან რესპუბლიკას).

ვენის დემოკრატიულ გაზ. Zeit-ის აზრით, ევროპიელე-  
ბის თანაგონებმა სამართლიანობის პრინციპზე უნდა იყო  
დამყარებული. აქად და რუსები ევროპიელები (?! ამწყ-  
არინდ, გვირდა თუ არა მათი მხარი უნდა გვეჭირდებოდ, ეს  
უსამართლებია. იაბრნიამი პარლამენტულური წეს-წყობი-  
ლება შემდრებელი, წეს-წყობილება, რდმლის პრექტი გა-  
მდჩენილ ობრისტ ლდრენგ შტეინის მიერ არის შედგენილი.  
იაბრნია ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. მედრეს მსრივ, სწო-  
რედ რომ უსამართლებია, რუსეთი ევროპიულ სასეგმწი-  
ფდდ აღვიართ. „ აბსოლუტიზმის რუსეთი თავისის თვით-  
მპყრობელითურთ, რომელიც ას ოც და ათ მილიონ ქვე-  
მეგდრდმთა ბედ-იბდალს ერთის ხელის გაქნეგითა სწყვეტს;  
რუსეთი, რომელშიაც მდიერი ბურვკრატია უკონტროლდდ  
განაგებს მცხვრებთა ქდნებას, თავისუფლებას და თვით  
სიფდსგლესაც; ოფიციალური რუსეთი, რომელიც სალსის  
საუკეთესდ შვილებს სდვენის, — ეს რუსეთი ვერ გამდვა,  
ღვისის მადლით, ევროპიულ კულტურის დამეგვლადდ ".  
ავსტრიის სოც.-დემ. ორგანო Arbeiter-Zetung-ში კვით-  
ხულებთ : „ ვინ გამოიწვია ომი ? განა ჩინეთის პრვინ-  
ციებში რუსის სალდათი სალსის სურვილით გაიგზავნა ? გა-  
ნა აგრესიული პოლიტიკა, რომელმაც ომი გამოიწვია, სასა-  
რგებლად რუსის სალსისათვის ? სალსი ! მაგრამ სად არის  
მისი ხმა, რა საშუალებით აღიარებს სალსი თავის აზრს ?  
განუსაზღვრედ რუსეთის სალსი სდუმს და არ ვიცი, რა  
უნდა, საითკენ მიისწრავდის. ასე რომ, ვინ გაჰბედავს და  
იტყვის, რომ სალსი მდმსრეა აგრესიულ პოლიტიკისად ?..  
იმპერიის ცნვრებამი ათახგარი ვითხვები დაიბადა ; გლე-  
ხი შეწყუბულია, მუშა აღმდფთებულია, ინტელიგენცია გან-  
რისხებულია და დაჩაგრულია. ამის შემდდეგ იტყვიან, რომ  
რუსეთისათვის აწად მიწების შემენაა საჭირდო ! სალსს  
არა უნდა-რა მანჯურისა. რუსეთი სალსის და სასეგმწი-  
ფდს ინტერესების დაცვის გამდ არ ჩავარდა განსდგდელში,  
რუსეთი განსდგდელშია დგზბოტიის წყალობით, რომელიც,  
ღმების და საზღვრების გაფართოვების საშუალებით, ცდი-  
ლებს აიცილოს თავიდან საჭირდო რევირმების განსდრციე-  
ლება... თუ რუსეთი დამანდსნდა, ეს რუსის სალსის უდ-  
ლებობისა. მაშინ შეიძლება თვითმპყრობეგლობამაც გაიფდ,  
რომ დამინავების და დაჩაგვრის სისტემა გამდუსდგდგართა.  
ისტორიამი ბევრია მაგალითი, რომ ომის ველზე დამანდს-  
ებით სალსი აღდრმინებულა. და ომიანობის შემდდეგ სარგე-  
ბლობაც სწორედ იმაში გამოისატებოდა, რომ ომი აამკა-  
რავებდა სდლმე სასეგმწიფდ ორგანიზმის ორგანულ ნა-  
კულეგვანებათა ".  
გერმანული ნაციონალ-ლიბერალური გაზეთი National-  
Zeitung-ი იმ აზრისაა, რომ რუსეთში ამ კამად მჭიდროლ  
კავშირის საგარედ ოა სამინალ პოლიტიკათა მუა. მთავრდ-  
ბასა ჰსურს, ერთის მსრივ საზოგადოების ყურადღება ომის  
ამბებით გაართლს, სოფლ მედრეს მსრივ ამ ომისა ემინა,  
რადგან იგი საზოგადოების თანაგონებბას არ იწვევს :  
„ მთავრდბა აქამდის ისე ახერხებდა, — ამბობს გაზეთი, —  
რომ საგარედ პოლიტიკის სფერამი გამარჯვების წყაღ-  
დით საზოგადოების გავლენიანი ნაწილი მდრჩილებამი ჰყავ-  
და. მთავრდბა ყოველ დღისიმიებას სმართბდა, რომ აღ-  
ფრთვანებინა მართლმადიდებელ რუსულ იმპერიალიზმით  
ბეჭებრი აფიცრებრი, ღვდლები და ვაჭრები. ყველა ამათ ბეგ-  
რი რამ აქვთ სათხლვნელი მთავრდბასთან. სოფლ გამე-

ფხიზლების სანაში ყველა ესენი საზოგადოების რადიკალურ ელემენტებს მიეკედლებიან. ამგვარი გამოფხიზლება აუცილებელია ღმის შედგენი უნდა იყოს მაშინაც კი, თუ ღმში რუსის მთავრობა დარჩება გამარჯვებული. ხალხს ახალ გადასახადს დაადებენ, იმ ხალხს, რომელიც უკვე არსებულ გადასახადებს ვერ უძლებს; იაბონიასთან ღმი რუსის კავის ვულში აღფრთოვანებას ვერ დაჰბადავს, ახე რემ, გამარჯვებულიც რომ დარჩეს მთავრობა, ხალხის გული არ ასძებრდება და უსასწვრო თაგვანწირულებამდე არ მიიყვანსო ».

« მისი გამოცხადება »

« საქართველოს » მე-11 ნომერში წავიკითხე ბ. მესხის წერილი « მასწავლებელთა რეფორმის შესახებ ერის გამომდევობაში » და თვალში მეცა დიდი ნაკლი ავტორის თვალთა-ხედვითის იხსნა. « ძველს დრემი... ამბობს ბ. მესხი — ერს უძღოდნენ წინ... თ.-აზნაურობა და სამღვდელეობა ». ჩემის შეგნებით კი, თ.-აზნაურობა აფერხებდა ქართველ ერის განვითარებას, რადგან ისტორიის განმავლობაში ძნელად თუ შესდგებოდა ხელმე საერთო ინტერესების ნიადაგზე. ფეოდალთა შიშის გამეფებული ქიშპობა და შეუთანხმებლობა იყო მიზეზი სპარსელებისა და თათრების გაბატონებისა ჩვენში. იმავე შეფთმა და მოცილებამ დააკარგვინეს საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. რაიც შეეხება სამღვდელეობას, არც მას ესმოდა თავისი მღვალეობა, რევოლუციონარული კვლევის წარმომადგენელს. მართალია, « უხუცულთა » (ახე უწოდებენ მაჰმადიანთ) წინააღმდეგ ქართველ ხალხის ფანატიზმს აქეზებდნენ, მაგრამ შინაურ განწყობილებაში არ ახლდებოდა ამდენად თუ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ; პირიქით, სამღვდელეობა ამ წეს-წყობილებაზედ აფუძნებდა საქართველოს ეკლესიის მატერიალურ ძლიერებას.

მაგრამ, ამას თავი დავანებოთ. ბ. მესხმა ძველი დრე გავკრით მოიგონა. მისი წერილის საგანი სულ სხვა არის. ავტორი გვმოტყვივებს, რომ მასწავლებელს დიდი მნიშვნელობა აქვს « ერის გამომდევობის » საქმეში. და ამიტომ ურჩევს ქართველ მასწავლებლებს, იმდემდე სიფრთხილად იმდევონ და მათს დედ-მამაზედა, ჩაუნერგეთ სიყვარული სამშობლო-სადმი და მ. სხ. თ.-აზნაურობის და სამღვდელეობის ადვილი ახალ დრემი მწერლებმა და მასწავლებლებმა დაიჭირეს. დღეს ერს ესენი შეთაურდებენ.

საკვირველია, რანაირადაა გამჯდარი ჩვენს ბურჟუაზულ ინტელიგენციაში ის შეხედულება, რომ საქართველო წარმოადგენს და ძველ დრემიაც წარმოადგენდა ერთ სრულს, ერთ ღრგანიშმს, რომლის თავობას ძველად თავადი და მღვდელი ასრულებდნენ, დღეს კი მწერალი და მასწავლებელი ასრულებენ. ავიწყდებათ, რომ ძველად საქართველო წოდებ-

დად იყო დაყოფილი, ესლა კლასებადაა, და რომ ამ წოდებათა და კლასთა შიშის ძირითადი უთანხმებობა არსებობდა, უთანხმებობა, რომელიც დღეს ამკარბრძოლად არის გადაქცეული. ავიწყდებათ, რომ მწერალი და მასწავლებელი ხშირად გამატონებულ წოდების და კლასის ინტერესებს იცავს და რომ ამის გამე გულუბრყვილობაა ყველა მწერლები და ყველა მასწავლებლები ერის ბელადად გახადოთ, და განსაკუთრებით კი ავიწყდებათ ის, რომ « ერის აღდრძინება » იმაზედ კი არ არის დამოკიდებული, რომ სიფრთხილად მასწავლებლებმა « სამშობლო-სადმი სიყვარული » იქადაგონ, არამედ მშრმეულ ხალხის სიცილიურ ბირდების ძირითად განახლებაზე. და ამიტომ თუ სიფრთხილად მასწავლებელი პატრიოტულ აგიტატორის რელით დაკმაყოფილდა და თავის აგიტაციაში არ შეეხე მშრმეულ ხალხის მატერიალურ ინტერესებს, მისი მოქმედება უნაყოფო დარჩება, რადგან პატრიოტული მოძღვრება, მატერიალურ შინაარსს მოკლებული, გაჭირვებაში მყოფ მშრმეულ ხალხისათვის ლიტერნი სიტყვაა. ბ. მესხის მოწოდება მასწავლებელთადმი კი სწორედ ამ სახიათისაა.

დიად, მასწავლებელს დიდი მნიშვნელობა აქვს « ერის აღდრძინების » საქმეში, ხელე ამისათვის საჭირდა, რომ იგი განდეს სიცილიზმის აგიტატორი, იმ სიცილიზმისა, რომელიც სწყვეტს სამართლიანად ერდვრულ კითხვასაც.

მკითხველი.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით აქ გამოთქმულ აზრებს და ავტორთან ერთად გვგონია, რომ ერდვრული აღდრძინება დაკავშირებულია სიცილიურ აღდრძინებასთან და რომ მასწავლებელთა ბრდბაგანდა აქეთკენ უნდა იყოს მიქცეული.

რედ.

როგორ დაიხვარო რუსეთის ფინლანდია

ყველამ იცის, რომ იაბონიამ, გამოიწვია რა თავისი გლხი პეტრობურვიდამ, ღმი ის გამოუცხადებლად ჩხუბი აუტეხა რუსეთს. ამის გამე რუსეთის მთავრობამ და რუსეთის დიდიგიალურმა პრესამ ქვეყანა შეჰყარეს: იაბონელებმა საერთაშორისო კანონი დაარდვიეს და ავანაჟურად, მაღლად დაუშინეს ჩვენს გემებს ყუშმარები.

მაგრამ ისტორიას რომ გადავავლოთ თვალი, დავინახავთ, რომ ძლიერ ხშირად მომხდარა ღმი ისე, რომ ეს ღმი დღრმაღურად არ გამოუცხადებიათ. ფრანგის პოლკის უფრდის მდრისის გამონგარნიშებით 171 წლის განმავლობაში 107 ღმი მომხდარა ღმის გამოუცხადებლად. და საყურადღებოდ ის არის, რომ თვით რუსეთს დიდი ადვილი უჭირავს იმ სახელმწიფოთა რიგში, რომელთაც ჩვეულებად არ ჰქონიათ ღმიანობის დაწყებამდე ღმის გამეცხადება. « Stockholms Dagblad »-ი საინტერესო ცნობას იძლევა იმის შესახებ, თუ რანაირად მოატეხა რუსეთმა შვეცია და რავარად ჩაიფრდ სელში ფინლანდია.

ტილინიში ზავის შეკვრის შემდეგ (1807), ნაბლგენმა სიხლვა რუსეთს, ძალა დაატანე შვეციას, ინგლისს ნუ გმს-

რება და ვერძობის სხვა სახმელეთო სასწავლოწოდებებს შეუერთდეს; ჯილდოდ ფინლანდია (4) თქვენი იყოს. — დაპირებია ნაპოლეონი ალექსანდრე I-ს. სოლო რედებსაც რამდენისამე თთვის შემდეგ, საფრანგეთის ელჩი ამურობდა ალექსანდრე I-ს, ანა ნაპოლეონის თხოვნა აასრულეო, მან უახუსა, დრო მინდა ჯარის მობილიზაციისათვის და დეკემბერზე ადრე შევიდას თავს ვერ დავსსმებოდ.

ამასობაში პეტერბურგსა და სტოკჰოლმს (2) შორის მოლაპარაკება გაიმართა. შვეციის ელჩმა მალე გაიგო, რომ პეტერბურგში რაღაც სრიკებს ამზადებდნენ, თუმიცა ეი იმპერატორი და მინისტრები არწმუნებდნენ, ყოველივე მშვიდობიანად გათავდებოდა. ჯერ კიდევ ნიემბურში არწმუნებდნენ, ჯარს შვეციის საზღვარზე იმიტომ ვაყენებთ, რომ პეტერბურგი ინგლისელების შემოღებისაგან დავიცვათ. „სელმწიფეს“ არ უყვარს სხვისი მიწის დაჩემება და იგი ყოველთვის მშვიდობიანობის მომხრეა. მაგრამ ამავე დროს რუსეთის იმპერატორმა აცნობა საფრანგეთის ელჩს, „შვიდ ან რვა დღეში ჩემი უკანახუნელი დივიზია მისული იქმნება თავის ალაგს; როგორც სედავთ, დრო უქმად არ დამივარგავს და კარგიც არის, რომ ცოტა დავაგვიანეთ, რადგან, ზამთარში ნავთსადგურები იყინება და ეს გარემოება ჩვენ ძალიან გამოგვადებდა“.

ნიემბურის გასულს რუსეთს 60.000 ჯარის-გაცი ჰყავდა ფინლანდიის საზღვარზე. სტეფინგი, შვეციის ელჩი, ძალიან ძესწუნდა, გაიგო-რა ეს ამბავი და აცნობა შვეციაში, ჩუმიად თქვენც მივმზადებთ. მაგრამ რუსეთის მინისტრები 1808 წელსაც კი არწმუნებდნენ ელჩს, „იმპერატორი დამის წინააღმდეგობა და დამი არც ხალხსა სწადია“.

11 იანვარს, შვეციის მეფე ვესტაჟ-ადოლფმა, რათა თავის ქვეყნისათვის განსაღვლეო აემორებინა, წინადადება მისცა რუსეთის იმპერატორს, ბალტიის ზღვა ნეიტრალურ ზღვად გამოვაცხადებოდა. რუსეთმა ამაზე პასუხი არ მისცა. 13 თებერვალს სტეფინგს თავის მეფისაგან წერილი მიუვიდა, რომელშიაც შვეციის მეფე კიდევ უმეორებდა თავის ელჩს, გვადგ ბალტიის ზღვა ნეიტრალ ზღვად გამოვცხადებოდ. სტეფინგი რუსის სელმწიფესთან მივიდა 16-ს ამ საგანზე მისალაპარაკებლად. მეფემ ისევ დაარწმუნა, მიმი ნურათვისა გაქვით. „დემოტი მიწამა, რომ შვეციის არც ერთი ქალაქი არ მინდოდეს“. ნეიტრალობის შესახებ ეი დრჭდვი პასუხი მისცა.

და აი ამავე დღეს პეტერბურგში უკვე მხად იყო ულტიმატუმში, რომელიც სტოკჰოლმში 17 თებერვალს გაგზავნეს. ამ ულტიმატუმში რუსის იმპერატორი უთვლიდა შვეციის მეფეს, რუსეთი ბალტიის ზღვას ნეიტრალ ზღვად ვერ აღიარებს და თვითონ შვეციის მეფემ ისმარეს იმგვარი წოდებნი, რომ თავის ქვეყნების მთლიანობა დაიცვას.

ამასობაში რუსეთმა უკვე გაათავა თავისი სამხედრო სამზადისი. და აი ხანამ სტოკჰოლმიდამ პასუხი მიუვიდა, — უმეტეს, ხანამ თვით ულტიმატუმში სტოკჰოლმიდამე მიაღწევდა — ო მ ი ს გ ა მ ო უ ე ს ა დ ე მ ლ ა დ რუსის ჯარმა ფინლანდიის საზღვარი გადალახა და 21 თებერვალს გელსინგფორს მიაღდა.

სტოკჰოლმში ეს ამბავი მხოლოდ 2 მარტს შეიტყეს ფინლანდიის გენერალ კლეოკეს წერილიდან. მაშინ შვეციის მეფემ უბრძანა, დაიჭირეთ ის მიკრიკი, რომელშიაც რუს-იმპერატორისაგან ულტიმატუმში მოიტანაო. მიკრიკი ჯერ არ მალე უღო, პერნადში (ქალაქია) იგი გამოჩნდა მხოლოდ 7 მარტს. აი მხოლოდ ამ დროს შეიტყეს რუსეთის მიერ ნორტის გამოვცხადების ამბავი, ე. ი. 15 დღის შემდეგ, რაც ჯარი შემოვიდა.

ცხადია აქედამ, რომ რუსეთი ვერ უსაყვადურებს იაპონელთ, პორტ-არტურს დამის გამოღვცხადებლად დაეცნენო, დასძენს გასეთი.

**პ ო ლ ო ნ ე თ ი**

ვარძავის პოლიციამ და ყანდარმერამ ყოველი დღეს იძლეოდა, რომ 1 მაისისათვის განსრულელი მანიფესტაცია არ მომხდარიყო. 1 მაისს ვარძავის ქუჩებზე დიდძალი ჯარი დაიდგა. ნაბრძანები ჰქონდათ, თუ ხალხი ქვის სრდლას დაიწყებს, იმწამსვე თოღები დაუშინეთ. პოლენციის სოციალისტურ პარტიამ (პ. პ. ს.) 1 მაისისათვის 18.500 ცალი პრეტლამაცია გამოცხა პოლენურსა, სოლო 7.000 ცორელი ენებზე. მიუსედავად სასტიკ ზომებისა, სუთ საათზე უიანდვის ალიამი შევრდვდა 12.000 კაცი — მუშა და ინტელიგენტი. პოლიცია ამად ცდილობდა გაეთანტა ხალხი. დაპატიმრებულ იქნა 20 კაცი. საზღვადოდ ვარძავაში რევოლუციონური მოძრაობა ძალიან იზრდებოდა. ჯამუმებს აღარ ერიდებიან, ან ჰვლავენ, ან კიდევ სემენ. 1 მაისს 20 ჯამუმებს ისე სემეს, რომ ზოგიერთი მათგანი გადაიცვალენ (Рев. Рое. 46).

— ( ) —

27 აპრილს პოლენციის ს.-დ. პარტიის საიდუმლო სტამბას პოლიცია (60 კაცი) თავს დაესხა. სტამბაში მყოფ რევოლუციონერებმა გადასწყვიტეს იარაღით თავი დაეცვათ. ჩაიკეტნენ სადგომში, კარებს მძიმე რამეები მიაწყვეს და დაუწყეს ლდინი დაუპატიყებელ სტუმრებს. პოლიციამ კარები შეამტვრია და ოთახში პირველმა ფენი შესედა ყანდარმა ტრტმისტრმა ვინნიჩევკა. გავრდა რევოლუციონი და ტრტმისტრი უსულად ძირს დაეცა. იგივე დაემართა ბოქალის ორდანივსკის და უბნის ზედამსევეკის, რომელნიც იქვე მოკლულ იქმნენ. რევოლუციონერები ამის შემდეგ გარედ გამოვვიდნენ და დაუშინეს რევოლუციონი გზოში მყოფ ყანახებს და პოლიციას. სამი პოლიციელი მძიმედ დასტრეს. სუთ კაცში მხოლოდ ერთმა მიახერსა გაქცევა (Искра 65).

**« წ ი თ ე ლ ჯ ვ რ ი ს » გ ა ც ა რ ც ვ ა**

პრეტესორი ხენიობისი სამართლიანად აღნიშნავს, რომ რუსეთი თუ დამარცხდა ამ აქში, დამარცხდება თავის მინაურ საქმეების მოღუყვობლობის წყალობითაო. რუსეთის მინაური დესორგანიზაცია უთსორის ძირს რუსის ჯარს. აი ფაქტებოდ. ყველამ იცის, რა მნიშვნელობა აქვს დამის დროს „წითელ ჯვრის“ საზოგადოებას, რომელიც ტანისამდს და წამალს ამზადებს დაჭრილთათვის, ფულს აგროვებს საავადმედოების მდსაწყობად. და აი სწორედ ამ „წითელ ჯვარში“ აღმოჩნდა ქურდობა, რომელშიაც „წარჩინებულნი“ პირნი უნდვიან. პეტერბურგის განყოფილებაში თავი ისახელა გენერალ-ლეიტენანტმა შვედოვმა, რომელშიაც წითელ ჯვრის ფული ბირჟაზე გაჭედლანგა. ამ ყამად გენერალმა ვითომ და „ავადმედობის“ გამო სამსახურს თავი დაანება. მოკვლევის განყოფილების პრეზიდენტმა, ქალბატონ ვიმენსკიომ, ჩაიგოდ თუ არა სელში საზოგადოდ ფული, ფუფუნებით ცხვრება დაიწყოდ და არაჩვეულებრივად ჰვლანგავდა ფულებს. მას მსარს უჭერდნენ ყველა წევრები საზოგადოების დორექციისა, რომელნიც ამგვარ ბორტებმას და ქურდობას ხრადიდდნენ. ერთ მდიდარ კაცს მიუტანია საზოგადოებაში 5000 მანეთი. ფულის ჩაბარების დროს ბართი მისცეს. მან ბართს არ დაჰხვდა. სოლო შინ რომ მივიდა, მაშინ მდაგონდა და ბართის გასინჯვის დროს ნახა, რომ შიგ 5000 მ. მაგიერ 3000 მ. ეწერა. საჩქაროდ ბრუნდება „წითელ ჯვარში“, იქ აჩვენებენ დავთრებს, ყველგან 3000 მან. ყოფილა ჩაწერილი. გაჯავრებულა შემორთველი და, რადგან გავლენიანი კაცი ყოფილა, დიდ მთავარ სერგეი ალექსანდრეს ძესთან მისულა. დიდ მთავარს უთქვამს, ეს ახალი ამბავი არ არის, სმირად მდიდარ ჩემთან საჩივლელად, მაგრამ გერავერს ვაწყობთ.

(1) ფინლანდია წინად შვეციის ნაწილს შეადგენდა.  
(2) შვეციის დედა-ქალაქია.



ამ მეორე მაგალითიც ყუთებით საცვლებს გზავნიდნენ მღრეულ აღმოსავლეთში. ტრანსპორტის გასტუმრებისას დიდ მთავრის ცელს ელისაბედ თევდორეს ასულს თურ-შე ეჭვი შეეპარა ერთს ყუთზე. აასრევინა და აღმოჩნდა, რომ საცვლის მაგიერ ქვებით და ჩალით გატენათ. ასადეს დანარჩენი ყუთებიც, იგივე აღმოჩნდა ბევრ ყუთში. და ამა სვანაირად როგორ ექმნებოდა, საგა წითელ ჯვრის ერთ განყოფილებში გამკედ იმგვარ პირებს ნაიშნავს, როგორიცაა, მაგ., კრწანთაის პოლიციისტრად ნამყოფი ცნობილი ქურდი შაფერაძე, რომელიც შარშან სამართალში იყო მი-ცემული სხვა-და-სხვა ავანავების ჩადენის გამო. ამჟამად მღვკავის „წითელ ჯვრის“ დირექცია სამსახურშიამ გა-დაუყენებიათ (L'Européen 127 და რეგ. რ. 46).

**რუსეთის ქრონიკა**

რუს-იაპონიის ომმა გამოაპკარავა შინაური გასრწი-ლება რუსეთის იმპერიისა და ამ გასრწილებას უმჯობესად უნდა მოჰყვეს დაგემა რუსეთის ბარბარულბობისა. კრწან-ტადში ამას წინად აღმოჩინეს, რომ ვიღაცას ასაფეთქებ-ლად მოემსადებინა თღფისწამლის საწყობები. გამოძიებამ აღმოჩინა, რომ ამის მომქმედნი ყოფილან თვით მთავ-რბობის მღვკელები. ის-ის იყო უნდა რევიზია მოესდინათ საწყობებისა, მართლა იყო თუ არა იმდენი წამალი, რამ-დენისათვისაც ფული იყო დახარჯული. ეს ფულები ოფი-ციალურ პირთ ჩაუჯობინათ, რაიცა რევიზიის დროს უმჯობე-ლია აღმოჩნდებოდა.

სერბონსა და მის ახლ-მასლდ 50.000.000 პატრონა იყო მენახული. ნახევარზე მეტი სადღაც გამქრალა. დანარჩენიც ყოველად უკარვისი გამოდგარა. „იღუმალი გამოძიება“ სწარმოებს.

მანჯურიაში რუსის ჯარი ათასგვარ ავადმყოფობისაკან უფრო იხდებდა, ვიდრე შტრის ტყვიისაკან. ამ ავადმყოფობ-ის მიხეზი უმეტესად ცუდი საჭმელია, ან და საჭმლის ნა-კლებობაა. ფეკილი ყოველად უკარვისია თურმე. სხვათა მდრის მანჯურიაში გაუზსავნიათ 70.000 თვლდო სდრის კონჩეტვებისა, რომელნიც რუს-ღმალღს ომის შემდეგ დატ-ჩენილა!.. ჯარი იხდებდა, სამაგიერიოდ შიოჯარადრენი და საინდენდანტღს მღვკელები ჯიბეებს ივხებენ.

მანჯურიაში სამხედრო ცენსურა მეტად სასტიკია. მაგრამ ახერხებენ ისიც კი „გაგურენ“ სდღმზე. ერთ ცენტრალ ექსიმს ბრძოლის ველიდან ვარშავაში დედისათვის წერილი მიუ-წერია, რომელიც სამხედრო ცენსურას გაუშვია. ამ წერილ-ში იწერებოდა: ყველგან სამაგალითო წესიერება სუფევს; უმჯობესად გაიმარჯვებენ რუსები. მე უსაქმურად ვარ. ბოლღს წერილის ავტორი დედასა სთხოვდა — გამოძიეზა-ვდე ეს და ეს გებრალევი წიგნები და მათი სათაურებიც დაუწერია. ამ სათაურების თარგმანი კი აი რას ვგულისხმებ: „მიმშილი და სისაწყლე“, „როგორც მედევი ამისა — ათასგვარი ავადმყოფობა მუხრს ავლებს ჯარს“. — „ჯარი სულით დაეცა“. — „ლამის აჯანყდნენ ჯარის-კაცები“. — „ვნატრღმ ტყვედ წამიყვანენ იაპონელებმა“. ეტყობა, ცენ-სორს ებრალევი ენა არა სდღდნია.

მეტრებურები 16 აპრილს, პავლეს სამხედრო სასწავლე-ბელში შემდეგი საყურადღებო ამბავი მოხდა: იუნკრებმა სააქტო დარბაზის კლიტე გასტენეს, შევიდნენ შიგ და ალე-ქსანდრე III და ნიკოლღს II-ს სურათები დაფხრიწეს. აი-რია მღნასტრე. დიდი გამოძიება მოხდა, მაგრამ ვერაფე-რი აღმოჩინეს. ამით რომ ვერას გასდნენ, სასწავლებელში ორი ჯამუში გაგზავნეს, ვითოდ ასლად მიღებული იუნკრე-ბიად, მაგრამ იუნკრებს სიცილად არ გყვთ ახეთი სერსი მთავრბობისა. აპრილში, პანაკად გავლის დროს, სასწავლე-ბელში არავის იღებენდ. ჯამუშეის ახლღსაც არ იკარენდ-ნენ და სულ უბრალდ რანქემადგ ასულს არ აძლევენდნ. ბოლღს მთავრბობამ ისევე გაიყვანა ჯამუშები, რითაც უფრო აშკარად დაუმტვიცა იუნკრებს, თუ რა ვაუბატენებიც მან-დებდნენ ის „ასალი იუნკრები“.

ფინლანდიის ქალ. ჰელსინგფორში 16 (3) ივნისს, სენ-ტორის შვილმა მამუშანმა ორჯერ ესრღლა რეკოლევერი ფინ-ლანდიის გენერალ-გუბერნატორს ბობრიკოვს და თვითღ-ნაც თავი მოიკლა. ერთმა ტყვიამ ვისერი გაუშენწლა, მე-ორე მუცელში მოხვდა და ნაწლეკები დაუფლითა. ბობრიკო-ვი მეორე დღღსვე მოკვდა. ამნაირად ბობრიკოვი თან გა-დაჰყვა იმ ბარბარულ რეჟიმს, რომელსაც ფინლანდიამი ავრწელებდა. მას მინდობილი ჰქონდა აღესრულებინა გან-წრასვანი რუსის მთავრბობისა, რომელთაც ახრად ჰქონდათ ფინლანდიის გარუხება. რუსის ხელმწიფემ დიივიწყა ავტი-მისთა წინაპართა მიერ მიცემული — ფინლანდიის ავტი-რბობისათვის ხელი არ ესლდთ, და ისეთი განრნები შემოი-ღღ ამ ქვეყანაში, თითქო რუსეთის ერთ-ერთი გუბერნია ყოფილიყო. მთელი განათლებული ევრობა აღამფოთა რუ-სის მთავრბობის ამგვარმა უბოდიშო ქვეყამ. ბობრიკოვის სიკვდილი, იმედია, საგრენებლს ჩაავლებს ნიკოლღს II და ხელს ააღებინებს იმ მხედურ ზღმებზე, რომლებსაც ოთხი წელიწადია ფინლანდიის წინააღმდეგ სმარღბს.

**სოციალისტების აჯარი ომის შესახებ**

ქიულ გედის ახრით: « ყოყმანი შეუძლებელია. საფრანგეთისა და მთელ ქვეყნის მშვიდობიანობის ინტერესისათვის და აგრეთვე თვით რუსეთის გან-თავისუფლების საქმისათვის რუსეთის წინააღმდეგ-ნი, სდღღ იაპონიის მომხრენი უნდა ვიყვთ. გაუ-მარჯღს იაპონიასღ »! ემილ ვან დერ ველ დი ამბობს: « სოციალისტები არ თანაუგრმნებენ მიკა-ღღს იმპერიალიზმს, როგორც არ თანაუგრმნებენ ისინი რუსეთის ხელმწიფის იმპერიალიზმს. სდღღ რადგან ეს კონფლიკტი აუცილებლივ იმოქმედებს ევრობის შინაურ და გარეშე პოლიტიკაზე, სოციალი-სტებმა უნდა ან ერთის და ან მეორის მხარე დაი-ჭირენ და უსურვონ დამარგება იმას, ვინც უფრო საძომი და მავნებელია, ვისი გამარჯვებაც მეზომღლ პრდლექტარიატისთვის საფრთხედ შეიქმნება. ამ მხრივ ყოყმანი შეუძლებელია — ჩვენი მტერი გარიწმიაღ!

**წერილი ბვილისიდან**

13 აპრილს, ტფილისში, რვინის გზის სადღურზე, შემდე-გი ამბავი მოხდა: აღმინისტრატულიად გადასახლებული გზავნიდნენ, ამის გამო დიდძალი მუშა შეიკრბოდა სადღურ-ზე. დაჰკრა რა ყამმა მატარებლის დაძვრისამ, გამოიღებელ მუშებმა უცებ იფრიალეს და გავივდნენ ბაქანზე და მიჰქნეს ყვირილი: „ ძირს თვითმპყრბებელბა! გაუმარჯღს თავის-უფლებას! " და სვ. ამათ ყანდარმებმა სმლები დაუშინეს და, რასაკვირველია, ბევრი დასტრეს. სხვათა მდრის ერთ ასღო-ამწყვღბს !!! ამწ.) წახსიბა სმლით ერთმა ყანდარბმა, რომლის სმალიც თავში დამიზნებული ხელზე მოჰხვდა სწო-რედ გულდასათუთქი სანასავი იყო, რდღესაც იგი თავის საკუთარ თითებს დასტქერღდა ცრემლმღრეულის თვალე-ბით. მაგრამ დიდხანს აღარ გააჩერეს და იქვე შეიპყრეს. ისიც აღარ ატმარეს, რომ თავის მარწენელ თითებზე დაჰ-ხვეს ცარბელი, მაინც წაიყვანეს და გადუწყვიტეს სამი თვით დაპატომრება. მეორე დღეს წავიკითხე გაზეთში: წარმღლი-დგინეთ, სულ ქართველღბა იყო დატვრილი.

ასნალა.

ეს წერილი დაგვიანებულია შემედარ ადრესის გამო. რედ.

შეგდომის გასწორება: № 1 (13) დაბჭვდელი იყო ფღს-ტის ყუთში: „ ებისკოპღლის გამოცემების ", — წაიკითხეთ „ ებისკოპღლის გამცემღბობის ".

გან. „ საქართველღს " სტამბა. 51, rue Saint-Sauveur, Paris.